

შინაური საქმეები.

უოკელ-კვირული გაზეთი

№ 4.

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წელიწადი გვექვს.

კვირა, 3 თებერვალი 1913 წელი

უოკელ-კვირული გაზეთი

„შინაური საქმეები“

საქმე № 17). და თბილისში გამოგზავნიან სომხის აზარში, სიმონიანს შუშის მკვლელებს. გამოგზავნა უფროსი თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი: 4 მანეთი.

ნახ. წელი: 2 მანეთი.

სამო თეთი: 1 მანეთი.

კრთი თეთი: 2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულად შრომისა და წილის მფლობელების შეიქმნა ან განწმინდეს: თბილისი 2 მ. და 1 იანვარს 2 მ. განცხადების ფაილში წინა გვერდზე პეტრითი სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1. სიტყვა-ეპისკ. ლეონიძისა; 2. საუბრები, პირველი საღამო, სადა ვდგევართ?—ა. პ.—სისა; 3. სამრევლოს აღდგენის საკითხის შესახებ—ნ. დურნოვოსი; 4. ქართული ტიბიკონი და სტამბოლის ქართველობა—შ. ბ.-სა ნ. კრიტიკული შენიშვნები—ხომელისა; 6. კვირიდამ-კვირამდე; 7. მადლობის გამოცხადება.

სიტყვა*)

სასულიერო სემინარიის სტუდენტ ბექტარ სუბაძისადმი მისი მღუდლად ხელდასმის გამო.

(დასასრული.)

„ათის წლის რუსეთში განდევნის შემდეგ, მამა ჩემის მოწყალებით ძლიერ მეღირსა საქართველოში დაბრუნება და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ვფიქრობდი, რაკი ქართლამდის მოვალწიე, ჩემს საყვარელ კახეთამდინაც დიდი მანძილი აღარ დამრჩენია მეთქი და მალე ჩემს დედა-ქალაქში ვავიმართავ სამფლობელოს მამის უფროსისა მეთქი. ეს იყო ჩემი სარტყილად აზრი. ამაზე ზევით არ მიდიოდა ჩემის დიდების სურვილი, მაგრამ ერთმა გარემოებამ სულ თავზე ბალანი ამიშალა და იმ ფუქს, ზიზილ-პიპილებით შემკულ ხარისხს, სრულიად ფერი დაუკარგა.

„მე სულ ორი თვის გამწესებული არ ვიყავ აქ მამის მმართველად, როდესაც ჩემის

*) იხ. „შინაური საქმეები“, № 3.

მთავრობისაგან წერილი მივიღე; წერილი კერძო იყო და მიბრძანებდნენ: „გთხოვთ საიდუმლოდ, არა-ოფიციალურად, გამოიძიოთ და ნამდვილად შეიტყუოთ, თუ რა ამბავია სოფელ ლილიფარიანშიო. მე ეს მონდობილება საჩქაროდ ავასრულე, გავიმძღვარე წინ ამ სოფლის მკოდნე პოლიციის მოხელე და ერთ კვირა დღეს მივედი ლილიფარიანის მამასახლისთან,

„არ შემძლია დაწვრილებით არ გაუწყო ამ სოფლის გარემოება, რადგან ყოველი კუთხე, ყოველი ქვა-ქვაზედ დადებული შენობა, გზა-კვალი, წყალი, ეკლესია ზედ ატარებენ იმათ ზედგავლენას, რომელთ მოქმედებაც მე უნდა გამეცნო და, როგორც დამნაშავენი, უნდა გამემხილებინა

„როგორც გითხარ, კვირა დღე იყო. შემოდგომის მზე ტკბილად ანათებდა დედამიწას, ახლად ამოსული ჯგჯილები გზის ორივე მხარეს მშვენიერად ბიბინებდნენ. არც ერთი ცოცხალი ქმნილება, არც ერთი მგზავრი არ მოჩანდა დიდ მინდორზე, ცა და დედამიწაც გაყუჩებული იყო, სრულიად განსვენებას მისცემოდა ბუნება. უნებლიეთ მეც დამიმორჩილა ამ თბილმა, ნათელმა, მყუდრო გარემოებამ და ოცნებას მივეცი და ვერ შევნიშნე, თუ როგორ მიუახლოვდი სოფელს. ათი საათი იქნებოდა, როდესაც ლილიფარიანში მიველ და გაკვირვებული დავრჩი მისი გარეგნობით: არსად, გარდა სასღვარ გარეთისა, არ შევხვდრვიარ ამისთანა სუფთა და კაპწია სოფელს, ორ-პირად ჩამომწყრივებულს სოფლის სახლებს გზის აქეთ-იქით, წინ ორიოდ-სამიოდ ხე უმშვენებდა ეზოებს, რაც საქართველოში იშვიათია და ქართლში ხომ სანთლით არ მოიძებძება. თვით გზა გატყვეცილი იყო და ორთავე მხრივ ღრმად ამოჭრილ არხებში ანკარა რუები მოუდიოდა. სოფელი მთლად ცარიელი იყო. მამასახლისის სახლის კარები გადმორახული დამხვდა, სოფელში ქაჭანებად არაინ მოსჩანდა. აქეთ-იქით მივიხედე და ერთ სახლის წინ დაეინახე ერთი მოკუნტული ბებერი დედაკაცი, რომელიც მზის სხივებზე გვერდებს ითბობდა

და თან პატარა ბავშვების თამაშობას თვალყურს ადევნებდა.

— დედი, დავეკითხე იმას, — რად აყრილა მთელი სოფელი? ნუ თუ შენს მეტი მცხოვრებნი არაინ არის ამ სოფელში?

— ააა? წაილულლულა ძალზე დაყრუებულმა ბებერმა.

— ხალხი სად არის? მამასახლისი? დაუყვირე მე და, ცოტა არიყოს, „ნაჩაღნიკური“ გული ყელში მომებჯინა, რომ ჩვეულებრივ გლეხ კაცობა არ მომეგება.

— ხალხი? მამასახლისი? საყდარში, შეილო, საყდარში! კვირა დღეს სხვაგან სად იქმნებიან. საყდარში არიან ყველანი, დღეს ნიკოლოზ მღვდელი ქადაგებას იტყვის და ყველანი იქ არიან. მარტო მე ბედკრული დავრჩი შინ, ყრუ ვარ და ბავშვები მომბარეს.

„ჩაფარი მაშინვე დაფაცურდა, უნდოდა გაქცეულიყო საყდრისკენ და მათრახით მოედენა ჩემ თაყვანის საცემლად უგუნური გლეხკაცობა, მაგრამ მე შევავენე... თითონ გავსწიე ეკლესიისაკენ, რომელიც მალლა ფერდობზე მდებარეობს და ძირს მის კალთებს ქვეშ გაშლილ სოფელს გადმოჰყურებს, თითქო მფარველობას უწევსო. ეკლესიაში შეველ და იქვე კარებთან სვეტს ამოვეფარე. საყდარი სავსე იყო სადღესასწაულოდ ჩაკმულ გლეხკაცობით. ტრაპეზის წინ პატარა, გამხდარი, ოდნავ ქაღარა შერეული მღვდელი იდგა და აღტაცებით უხსნიდა გატაცებულ მსმენელთ იმას, თუ რა არის ქრისტეს უდიდესი მცნება: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“

„ქადაგებლის პაწია თვალეები ისეთის ცხელით იყო სავსე, მისი ლამაზი კი არა, მაგრამ მარილიანი სახე, ისეთის გრძნობით იყო აღგზნებული, მის ტკბილს, მუსიკალურს ხმას ისეთის ღმობიერებით სავსე ძალა ჰქონდა, რომ მეც კი დამიმორჩილა, გულის სიღრმემდი ჩამწვდა და იქ რაღაც მიძინებული, დიდის ხნის უქმობით დაჩლუნგებული რელიგიური გულწრფელობა გამიღვიძა.

„ქადაგება ვათავდა და ეკლესიის ჩარდა

ხიდგან მოისმა მშვენიერი მწყნარი, ანგელო-
ზებრივი ვალობა. მლოცველთ მოწიწებით მუხ-
ლი მოიყარეს და სასოებით საესე თვალნი მი-
პყრეს აღსავლის კარებს, საიდანაც მღვდელი
და მთავარი ბარძიმ-ფეშხუმით გამოდიოდნენ.
მე ვაოცებული ვიყავ. ვინ ასწავლა ქართველ
კაცს ლოცვა, რა მანქანებამ დაუბრუნა ეკლესიას?
იცი ვინ, დედაჩემო, იცი, ვინ იყო ის
კურთხეული მოძღვარი, ის სულიერი მამა, ის
ღმობიერების გამღვიძებელი ქართველ გლეხის
დიდის ხნით ლოცვას გადაჩვეულ გულში? ის
იყო ჩვენი ძველი ნაცნობი, შენი საყვარელი
და ნაჭები ნიკო ბერიშვილი...

„მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო იმ
ვაოცებისა და სახტად დაჩვენისა, რაც მე შემ-
დეგ ვნახე.

„წირვა გამოვიდა, ხალხი ჩუმად, წყნარად,
ფიქრ აღბეჭდილი სახით ნელ-ნელა გამო-
დიოდა საყდრიდან და სოფლისაკენ მიემართე-
ბოდა. ეკლესიის სვეტს უფრო გაფთხილებით
მოვეფარე, რომ ჩემს მუნდირით და ჩემს ხა-
რისხით არ დამერღვია საზოგადო მყუდროება
და მხოლოდ ერთის საათის შემდეგ წირვის გა-
მოსვლისა მამასახლისის თანამგზავრობით მივე-
დი ბერიშვილთან.

„ბერიშვილი სდგას, დედა ჩემო, იმისთანა
სასახლეში, რომელთანაც ჩვენი ნაჭები დარ-
ბაზები თავის სოროებად გეჩვენება. მაგრამ
კი არ იფიქრო, რომ ის სასახლეს გაედიდაკე-
ბიოს, სიმდიდრესა და ფუფუნებას შეეპყრას!
არა, ეს ისევ ის ნიკოა და ისევ ის ტყავი ას-
ხია, თავდაბალი, სადა, ზრდილი და კაცთ-მო-
ყვარე, მხოლოდ სათნოება მოჰმატებია...

„...ნიკოს წინ ისე წავდექ. როგორც
ცოდელი შენდობის სათხოვნელად...

„დიდის მორიდებითა და გაფრთხილებით
ვუამბე ჩემს მოსვლის მიზეზი და ავუხსენი
ჩემი გაკვირება, რომ ვხედავ მღვდლათამაშეთქი
მამის როდესაც, როგორც მახსოვს, სასულიერო
მოღვაწეობა არასოდეს არ გქონია საგნად
ცხოვრებისა-შეთქი.

მართალია, ამოოხვრით მომიგო იმან,
მე სხვა გზით მინდოდა მიმეღწია სწავლისა-

თვის, მაგრამ გარემოებამ შაიძულა ჯვართა
და სახარებით შევსდგომოდი ჩემის განზრახვის
აღსრულებას და არ ვემდური წუთი სოფელს,
მივალწიე სასუფეველს და განა სულ ერთი არ
არის, რა გზითაც მივალწიე? მაგრამ წამობძან-
დით, შე ყოველსავე გაჩვენებ და, თუ დაინა-
ხავთ რასმე ჩვენს საქციელში გასაკიცხავს, გაჰ-
კიცხეთ; ეგ თქვენის სუფილისა და გადაწყვე-
ტილებისათვის მიმინდვია.

ჩვენ გავედით მოძღვრის ოთახიდან გრძელ
ტალანში და შევედით დიდ დარბაზში, რომე-
ლიც სამოსწავლო სკამებით იყო სავსე და ზედ
რამდენიმე ახლოგაზდა გლეხის დედაკაცი სწერ-
და რვეულებზე, იმათ თავს ადგა შავებით ჩაც-
მული ქალი და წერას თვალ-ყურს ადევნებ-
და...

აი, ბატონო, ეს დიდი და საუკეთესო
ოთახი ჩვენ დაუთმეთ სასოფლო შკოლას. აქვე
გვაქვს მოთავსებული პატარა სასოფლო ბიბ-
ლიოთეკა. კვირაობით კი ჩემი მეუღლე აქ ას-
წავლის, როგორც თქვენც ჰხედავთ, ამ ახლად
მოყვანილ პატარძლებს, რომელთაც წერა-კითხ-
ვა არ აციან, კვირაში ორჯელ სადამოობით
ქრა და კერვასაც.

— რატომ მართო პატარძლებს? — შევე-
კითხე მე ნიკოს.

— სხვებმა ყველამ იციან წერა-კითხვა და
ქრა-კერვაც.

— მთელ სოფელში?

— დიად! ჩვენ ბევრი დრო გვქონდა ამ
ადვილი საქმის აღსასრულებლად. ახლაც ყურს
უგდებთ, და რომ არ დაივიწყონ, წიგნების
კითხვას ვაჩვენებთ ნელ-ნელა.

შემდეგ ნიკომ გამიყვანა მეორე ოთახში,
სადაც გამართული იყო ჩარხები, ქანდარეები
და სხვა და სხვა საბრეშუმო იარაღი და მით-
ხრა: აქ, ბატონო, ჩვენ ვამზადებთ აბრეშუმს
და ვასწავლით მის შემუშავებას გლეხის ქალებს.

მესამე ოთახში მიჩვენა პატარა აფთიაქი.
ამ ოთახის ერთ მხარეს შირიმის უკან სუფთად
გაშლილი ლოგინი იყო, მე ამან ძლიერ გამა-
კვირვა. ეს საწოლები იმ შემთხვევისთვის გვაქვს,
მითხრა მოძღვარმა, თუ დიდ ოჯახში გადამდე

ბი ავადმყოფობით გახდება ვინმე, ჩვენი სახლი სოფელზე კარგა მოშორებით არის და ბევრჯერ ამ განცალკევებით სოფელი გადავარჩინეთ განსაცდელს. მეც და ჩემი ცოლიც ცოტაოდნად მიხვედრილი ვართ ექიმობას და, სანამ შეძლება ნებას მისცემს გლახაკობას თავისი საკუთარი ექიმი იყოლიონ, ჩვენ ვაძლევთ ცოტაოდნად შემწეობას.

მერე მაჩვენა დიდი ქვითკირის ბელელი, სადაც ინახებოდა საზოგადო პური, მერე მარანი, მშვენიერად მოწყობილი ყურძნის საწურავი მანქანით, საქაჩავით და სხ.

— ყველა ეს აქაური გლახებისა არის, მიხსნიდა ნიკოლოზ მღვდელი. საზოგადო ზვირიდან შემოსული ღვინო და საზოგადო მალახის პური სრულიად ჰფარავს სასოფლო ხარჯს, სახელმწიფო გადასახადს, გზების შეკეთებას და კიდევ რჩება იმდენი, რომ ვინახოთ თანხის შესაგროვებლად, რომლის სარგებლითაც შეგვეძლება ვიყოლიოთ საკუთარი ექიმი, გავიზინოთ რიგიანი საქონელი, შევიძინოთ ზოგიერთი სამეურნეო იარაღი და, თუ საჭიროდ დავინახავთ, მამულეებსაც შევისყიდით მეზობელ თავადებისგან.

ვინ ხელმძღვანობს ყველა ამ დაწყობილებას?

— რასაკვირველია, ჯერ მე და ჩემი ცოლი და შემდეგისათვის კი ვამზადებთ თვით მცხოვრებთაგან გამგებელთ. ჩვენ ყოველ წელიწადს ვგზავნით ქალაქში უკეთესის ნიჭის ყმაწვილებს და შემდეგში ისინი დაიჭერენ ჩვენ ალაგს. აი მალე მოგვივლენ რამდენიმე ჩინებულიად მომზადებული ხელოსნები, ამ სოფლის შვილნი და იმათი დახმარებით წაუმატებთ კიდევ ერთ საქმეს: დაეარსებთ სახელოსნოს, სადაც სოფლის შკოლაში დამთავრებულები გადავლენ სახელოსნოში ხელობის შესასწავლად.

ხარჯი, ხარჯი ყველა მაგ დაწყობილების სიიდან მოდის, რა წყარო გაქვთ, რა სიმდიდრე?

ხარჯი? ვანა არ მოგეხსენებათ, რომ ჩემს ცოლს დარჩა თავისის პაპის კარგა რიგიანი შემკვიდრეობა? ის შემკვიდრეობა ჩვენ ისე მივიღეთ, როგორც ღვთის განგებით მოვლენილი

წყალობა და საშეღება სიკეთის დასათესად ღმრთის ვიხმართ, როგორც ზეციერ მამას ესიაპოვნება და ჩვენს ბუნებრივს და ზნეობრივს მოთხოვნებს შევსაბამება.

— ნუ თუ პირადი ცხოვრება შესწირეთ საზოგადოს? ნუ თუ კაცი მოკვდა თქვენში და მხოლოდ აზრი ფლობელობს?

— სრულიადაც არა. ყველას თავისებურად ესმის სიცოცხლე, ჩვენ მხოლოდ ამგვარი სიცოცხლე ავირჩიეთ და ჩვენებურად დიდი ბედნიერებიცა ვართ.

აი, რამდენი სიკეთის გარიგება შეუძლიან მღვდელობით შეგნებულ პირს. ვანა სხვა რომელიმე სამსახურის კაცი ამაზე მეტ სიკეთეს შესძენს გაჭირებულ თანამოძმეებს!

შენც, ჩემო ახლო თანამსახურო, თუ მოინდომებ ღვთით, შეგიძლიან გაიმეორო შენს მომავალ მოქმედებაში ერის მოკეთე მღვდლის ნიკოლოზ ბერიშვილის თვითეული ნაბიჯი. მაშ, ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრეთვე! (ლუკ. 10, 37). ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი

ს ა უ ბ რ ე ბ ი. პირველი საღამო.

• სადა ვდგევართ?

დანიშნულს ვადაზე ორივე ქვისლი მოვიდნენ მღვდლის სახლში და, მათგან ჩვეულებრივად მოკითხვის შემდეგ, მღვდელმა სიყვარულით მიიღო ისინი და განსაკუთრებული სიხარული გამოსთქვა ფაბრიკაში მომუშავე თომას მოსვლის გამო. „დიდი ხანია, უთხრა მღვდელმა იმას, „არ მინახვიხართ აქ, ჩემს სახლში. იშვიათი სტუმარი უფრო საყვარელია.“

„ყველა არა.“ შენიშნა თომამ, „იშვითი სტუმარი და სასურველი სტუმარი, აი მაგალითად მე! არა მგონია, რომ ჩემი მოსვლა თქვენთვის ძალიან სასიხარუ-

ლო იყოს; უკანასკნელ დროს, მე ძალიან მცირედ მაინტერესებს სარწმუნოებაც და წირვა-ლოცვა. ან რად უნდა მივაქციო ყურადღება ამ საგნებს, როდესაც არ არის არც ღმერთი, არც მარადისობა? მართალია, ეს უკანასკნელი მოძღვრება მე არც თუ ძალიან მტკიცედ მწამდა. თუმცა აქამდის ისე ვცხოვრობდი, თითქოს ჩემთვის არც ღმერთი ყოფილიყო და არც მარადისობა, მაგრამ ხშირად ამავე დროს გულზე დარდი მაწვა და სინდისი მქენქნიდა. და ამიტომ ძალიან გამეხარდა როცა ჩემმა ქვისლმა გუშინ საღამოთი მთხოვა მასთან ერთად თქვენთან წამოსვლა, მით უმეტეს, მამაო, რომ თვითონ თქვენ გისურვებიათ ჩვენი ნახვა. იმედი მაქვს ამ შემთხვევაში მივიღო თქვენგან განმარტება და პასუხი ზოგიერთ იმ საკითხებზე მაინც, რომლებიც ამ დროში რევენ ბევრს.“

მღვდელი: ჩვენ ახლო ვართ ერთმანეთთან აზრით. სრულიად მართალია, რომ თქვენ უნდა მიიღოთ ჩემგან განმარტება. მე სწორედ ის მინდა. რომ ვისარგებლო თქვენის აქ ყოფნით, დაგარიგოთ და, თუ ღმერთი ინებებს, -დაგიბრუნოთ ბედნიერება წმიდა სარწმუნოებისა. მაგრამ ერთი კი უნდა გთხოვოთ ეხლავე. მოდი თ ვილოცოთ და ღვთის კურთხევა ვითხოვოთ, რომ ჩემი სიტყვები კეთილს ნიადაგზე დაეცნენ და ნაყოფი გამოიღონ.

ქვისლები დასთანხმდნენ, მღვდელმა ილოცა, სხოვა მათ დამსხდარიყვნენ და განაგრძო საუბარი ამ სიტყვებით:

საშიშს დროში ვცხოვრობთ; სკულსა და სარწმუნოებას ბევრისთვის აღარაფერი მნიშვნელობა არა აქვს. ამის გამო საზოგადო სიკეთე და სასოგადოებრივი წეს რიგი საშიშ დგომარეობაშია. ჩვენ თითქოს ვსხედვართ ცეცხლის-მფრქვევ გორახე, რომელსაც ყოველს წუთს შეუძლიან გააღოს პირი და შთანგვთქას.

ისმის კიდევ გუგუნი ცეცხლისა ქვესკნელიდან და აქა იქ სჩანს კიდევ ბოროტის მომასწავლებელი ნაპერწკლები. მე დავასახელებ ხშირს და მრავალს მკვლელობებს, მოკვლის სურვილს მეფისა, მთავრებისა და სხვა გავლენიან პირთა, რომელთაგანაც უკვე ბევრი მოკლული იქმნენ ბოროტ გამზრახველთა ხელით. ამის მაგალითი საფრანგეთიც არის; იქაც გამოიჩინდნენ ეს საშიში ნაპერწკლები და ამოხეთქა კიდევ. მაგრამ მე ვკითხულობ: თუ ამისთანა დანაშაულის ჩამდენთ ხელში ჩაუარდათ უფლება, მაშინ რა მოვლის ჩვენს საკუთრებას და ჩვენს სიცოცხლეს. მაშინ ჩვენ განა არ დაგვემართება ის, რაც ემართებათ იმათ, რომლებიც სხედან ცეცხლის მფრქვეველ მთაზე, რომლიდანაც ესესარის უნდა ამოვიდეს ცეცხლი და გულდამშვიდებით და უზრუნველად არიან, რადგანაც არ მოვლიან არაფერს განსაცდელს?

პეტრე: უკვე დიდი ხანია ლაპარაკობენ სისხლის აბანოს შესახებ, რომელიც ჩვენთვის მზადდება.

თომა: ჯერ არც ვგრე შორს წავსულვართ. ეხლა სულ სხვა საგნებზეა ბრძოლა. ღარიბი, შიშველ-ტიტველი ხომ მუდამ არ უნდა იყოს დამშეული, მაშინ როცა მდიდარმა არც კი იცის როგორი განცხრომით და სიტკბოებით გაატაროს სიცოცხლე.

მღვდელი: ამ მიზნისთვის სურთ ყოველივე საკუთრება სახელმწიფო საკუთრებად გახადონ. სწორედ ამაშია დაფარული დიდი საშიშროება საზოგადოებისათვის. დავიჯერო, მფიქრობენ, რომ ეს ასე აღვილად შესასრულებელია? გლეხი, ხელოსანი, ვაჭარისულაც არ დათანხმდებიან, რომ ერთს დღეს ისინი მოაშორონ მათს საკუთრებას და საქმეს, წაართვან მათ მათი ქონება, შენახულობა და შრომის საშუალება და გახადონ ისინი ჩვეულებრივ მუშებათ, რომლებმაც სხვის ბრძა-

ნებით, უნდა შეასრულონ არა ჩვეულებრივი და მძიმე სამუშაო. ამ შემთხვევაში საჭირო იქმნებოდა საშინელი ძალმომრეობა და სისხლის დაუღვრელად ამ საშინელ გეგმის აღსრულებას ვერ მოახერხებდნენ. მაგრამ ყველაზე საშიშია უკმაყოფილობა, რომელიც ყველგან არის და რომელსაც ხელოვნურად მხარს უჭერენ. ეხლა თითქმის ყველანი უკმაყოფილონი არიან, — მდიდარ კაპიტალისტები და დაწყებული უკანასკნელ მახოვარამდე, მიტომ რომ ურწმუნობამ და განცხრომის გადამეტებულმა სურვილმა გარემოცვეს საზოგადოება. თუ ამას მიუმატებთ ქონებრივი გაჭირება, რომელსაც ხშირად განიცდის აუარებელი სიპრავე მუშათა, შესაძლოა, რომ ეს უკმაყოფილობა საზღვარს გადასცდეს და მივიდეს გაფიცებამდე და სასოწარკვეთილებამდე: მაშინ მათ ველარაფერი ვერ შეიკავებს და ვერ შეაშინებს, მაშინ ყველაფერს ჩაიდენენ, ოღონდ კი როგორმე უშველონ თავს. იმისთანა კაცისთვის, რომელსაც არა სწამს რა, რომელიც გაჭირებამ მიიყვანა უმაღლეს გამწარებამდე და გაფიცებამდე, არაფერს არა ნიშნავს ციხეში ჩასმა, ან გადასახლება ციმბირში ან სიკვდილით დასჯა. თუ მან ნახა, რომ შეუძლიან გამოაჩინოს თავისი დიდხნის დაფარული ბრაზი და შეუძლიან მდიდარ კლასს სამაგიერო გადაუხადოს მკვლელობით, ან სხვანაირად როგორმე. მისთვის უმათვრესი საქმეა, ადასრულოს თავისი ბოროტი გადაწყვეტილება და სხვებსაც უჩვენოს, როგორ უნდა მოიქცენ. ამისთვის ის სიკოცხლესაც სწირავს, რადგანაც მისი აზრით მისი სიკოცხლით ყველაფერი თავდება და მისთვის აღარ არსებობს არა გვარი საიქიოს მისაგებელი. უკმაყოფილო, მაგრამ მორწმუნე მუშები კი სრულიად არ არიან საშიშნი, რადგანაც მათ იკავებს რევოლიუციისა და სხვა დანაშაულთა ჩადენისაგან რწმენა

საიქიოს მისაგებლისა. სულ სხვა სურათია, როცა საქმე ეხება უკმაყოფილო და ურწმუნო მუშებს. რას შეუძლიან მათი შეკავება რევოლიუციისა, მკვლელობისა და მეფის მკვლელობისაგანაც კი? ისინი ამბობენ: სიკვდილით ყოველივე თავდება; არაფერი პასუხის გება სააქაოს ცხოვრებას შემდეგ არ მოგველის; რა გვეხარჯება, რასა ვკარგავთ — ვკარგავთ სიკოცხლეს, მაგრამ ეს სიკოცხლე ძვირფასი არ არის“.

პეტრე: ეგ სრულიად მართალია, უკმაყოფილო და ურწმუნო მუშები ძალიან საშიშნი არიან საზოგადოებისთვის მაგრამ ჩვენა გვყავს ძლიერი ჯარი; ის ძალიან ადვილად გაასწორებს ანგარიშს!

მღვდელი: ეგრე ლაპარაკობს მხოლოდ ის, ვინც არ იცის ისტორია და გამოუცდელია. განა ჯარი კი არ აჯანყებულა და მემამოხე არა ყოფილა? განა ჩვენ არ ვიცით გამოცდილებით, რომ უკმაყოფილებას და ურწმუნობას ერთად დაკავშირებულთ და შეთქმულთ კაცთა საზოგადოების წინააღმდეგ, მოუხდენიათ დიდი კატასტროფები, აოხრება და განადგურება? ასი წლის წინად მომხდარი საფრანგეთის რევოლიუცია სამწუხაროდ ამას ამტკიცებს და მან თავლები უნდა აუხილოს იმათ, რომლებიც ამბობენ, რომ „უკმაყოფილო მუშებთან ადვილია ანგარიშის გასწორებაო“. უმაღლესი თანამდებობის კაცნიც კი მაგ. სახელმწიფო კანცლერი კაპრივი, გამოტყდნენ ამაში: „ჩვენ ვუახლოვდებით მძიმე დროს, სთქვა მან, ატეისტური (უღვთო) სოფლმხედველობა ფრიად საშიშია მომავლისათვის“!

თომა: დიად, სოციალ-დემოკრატია არის ძალა, რომელსაც, საჭიროა ანგარიში გაუწიონ. ის დღითიდღე იზრდება და მალე იღებს თავს.

პეტრე: ეს მართალია. ჩვენშიც.

გლახებშიც უკმაყოფილობა თანდათან შატულობს. უწინ არაფერი არ ისმოდა არც სოციალ-დემოკრატიაზე არც უკმაყოფილობაზე. საიდან გაჩნდა? ვისი ბრალია?

მღვდელი: ამაში დამნაშავეა ლიბერალიზმი. ლიბერალიზმი არის გონებრივი მიმართულება, რომელსაც იცავდნენ წარსულ საუკუნის თავისუფალი მოაზრენი. ამ მიმართულების მომხრენი მტრები არიან ყოველგვარის სარწმუნოებისა: ისინი უარყოფენ საუკუნო ცხოვრებას და მხოლოდ იმას ჰფიქრობენ, რომ დასტკბნენ მხოლოდ საქაო ცხოვრებით. ასეთ მოძღვრებით გაბრუნებულნი კაცნი აშენებენ. ქარის ციხეებს და ამაყობენ თავისუფლებით. ლიბერალიზმი საჯაროდ ხმა მალდა გაიძახის: ერნო, მე მივდეთ ყური, მე მოგანიჭებ თქვენ თავისუფლებას, თავისუფლებას ყველაფერში! რა თავისუფლება მოგვანიჭა მან? სარწმუნოების მხრივ მან მოგვიტანა ისეთი თავისუფლება, რომელიც ათავისუფლებს კაცს სარწმუნოებისა და ეკლესიისგან; მაგალითად, თუ ვისმე ცოლის შერთვა უნდა ან გათხოვება, ის თავისუფალი უნდა იყოს, მოისურვებს მოითხოვს ეკლესიისგან ლოცვა-კურთხევას თავისის ქორწინებისას, არ მოისურვებს, არ მოითხოვს, ის არავინ არ უნდა შეაეწიროვოს. თუ მოსწავლე გაშვებულია სასწავლებლიდან, მას აღარ უნდა დააძალონ ეკლესიაში სიარული. ეკლესიამ და მისმა მსახურებმა ხმა არ უნდა ამოიღონ; მათარ უნდა გაბედონ გამოცხადება თავის სამსახურის ვალდებულებათა, მათ არაფერი გავლენა არ უნდა ჰქონდეთ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, სახელმწიფო უნდა იყოს ყველაფერი და ყოველივე. სარწმუნოების მხრივ რომ ძალიან შორს წაგვიყვანა ჩვენ ამ თავისუფლებამ, ისე შორს წაგვიყვანა, რომ სახელმწიფოს ჯერაც

ვერ დაუმზადებია იმდენი საპატიმროები, სატუსალოები და გამასწოებელი სახლები, რომ შიგ დასტიოს ყველა დამნაშავე და ბოროტ-მომკმედნი. დიახ, ლიბერალიზმი იყო ურწმუნოების მიზეზად, რომელიც გავრცელდა ხალხში; ურწმუნოების ქადაგება დაიწყო ზევიდან, სწავლულებისგან და პროფესორებისგან და ეხლა ის თესლი, რომელიც მთელი წლობით ითესებოდა სწავლულებისაგან, ლიბერალ-კრებათაგან, ამოდის და მოაქვს მწარე ნაყოფი უბრალო ხალხშიც.

პეტრე: ეგ მე სავსებით ვერ გავიგე მაგრამ არ მინდა, რომ სიტყვა გაგაწყვეტინო.

მღვდელი: მეურნეობაში ლიბერალიზმმა მოგვიტანა საექვო თავისუფლება ვაჭრობა მრეწველობისა, აგრეთვე თავისუფლება ერთის ადგილიდან მეორეზე გადასახლებისა. ვაჭრობის თივისუფლების გამო, თავისუფლად შემოაქვთ და გააქვთ საქონელი, პური და სხვა ნაყოფი, ამას კი შედეგად მოჰყვა, რომ ჩვენში ბევრი შემოვიდა საზღვარგარეთიდან საქონელი და პური, და ფასი იქამდე დაეცა, რომ გლახკაც თავის მიწისგან, ხენათესვიდან და საქონლის მოშენებიდან რჩება მხოლოდ ის, რაც ღირს მისი მუშაობა.

პეტრე: დიახ, გლახი ეხლა დაბეჩავებული და დაჩაგრული არსებაა; არავინ არა ჰყავს მას ქომაგი და შემწე.

მღვდელი: მრეწველობის თავისუფლების გამო, ყველას შეუძლიან აწარმოვოს რაც უნდა, თუნდაც სრულებით არა გაეგებოდეს რა ამ წარმოებისა. აქედან ის გამოდის რომ ეხლა ქალაქებში არის მთელი მალაზიები ტანთ და ფეხთსაცმელებისა, და სხვ. ხოლო ამ მალაზიის პატრონი ვერც კი მოახერხებს ხელში აილოს ნემსი ან სადგისი. მრეწველობის ასეთმა თავისუფლებამ, სასიკვდილოთ დასცა ჩვენი ხელოსანთა წოდება? ცალკე ხელო-

სანს არ შეუძლიან გაუმკლავდეს ქვეყნის მეტოქობას და ამიტომ უნდა იმუშაოს დიდ მალახიის ან ფაბრიკის პატრონისთვის. აი ამიტომ არის, რომ ეხლა ყველა ქალაქისავე შიისწრაფვის სამუშაოს და საზრდოს საშოვნელად. ამის შესამსუბუქებლად ლიბერალიზმმა შემოიღო წესად თავისუფლება გადასახლებისა, რაც ნებას აძლევს კაცს იცხოვროს იქ, სადაც სურსამრიგად. მოხდა ის, რომ მუშები საცხოვრებლად გროვდებიან დიდ ქალაქებში. აქ უფრო ადვილად შეილება მოენა სამუშაოსი ფაბრიკაში. აქ უფრო დიდს ფასს მისცემენ. ამიტომ, სატახტო და დიდი ქალაქები სავსეა ღარიბი მუშებით, რომლებიც ერთმანეთს ავიწროებენ და ამცირებენ სამუშაო ქირას. ამ პირობების გამოა, რომ ჩვენ ეხლა ანგარიშს ვუწვევთ **სოციალიზმის საკითხს.**

პეტრე: ამითვე აიხსნება ისიც, რომ ჩვენ გლახები ხშირად ვერ ვმოულობთ მუშას, იძულებული ვართ დიდი ფასი ვაძლიოთ სამუშაოში, ეს კი ანადგურებს ჩვენს წოდებას.

მღვდელი: ბოლოს, პოლიტიკურის მხრივ, ლიბერალიზმმა შეგვძინა ჩვენ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც ემსახურება უკმაყოფილების აღორძინებას და გაძლიერებას. ის ხელს უწყობს მხოლოდ კანონს კულტურისთვის ბრძოლისას. შემდეგ იმისა, რაც მაშინების გაუმჯობესების გამო, წარმოების ბევრს დარგში საფაბრიკო მუშაობა ხელით მუშაობაზე უფრო გაიფუდა; შემდეგ იმისა, რაც რკინის გზით და ორთქლმავლებით უფრო იაფად დაიწყეს საქონლის გადაზიდვ-გადმოზიდვა ხმელეთის ყველა მხარეებში, და ამ გზით გაუჩინეს მას დიდი გასაყალი, დიდ კაპიტალისთვის ოქროს დრო დადგა. იმის მაგივრად, რომ მხარი მიეცა ბრძოლაში სუსტისთვის, ლიბერალიზმმა სრულიად მოსპო საზღვარი და ყოველივე რაც ხელს უშლიდა კაპი-

ტალს. ამას ამტკიცებს შევიწროება და ექსპლოატაცია მუშებისა კაპიტალისტებისაგან. სულ მცირე საფასით მათ უნდა იმუშაოს ოცი საათი ან კიდევ მეტი დღე-ღამეში. ბავშვებს და ქალებსაც, როგორც მამა კაცებს, ამუშავებენ ფაბრიკებში, და ყოველივე ეს ხდება კანონის სახელით. ხოლო როდესაც ასეთი საწყაოს მუშა, რომელმაც თავისი ოფლით ბევრი უშველა და მოეხმარა მდიდარ კაპიტალისტს ფულის მოგროვებაში, ვეღარ შესძლებს მუშაობას, მაზედ აღარავინ არა ზრუნავს. იგივე კანონი უფრო ნაკლებად ავალებს სამუშაოს გამცემს დაეხმაროს მუშას, თუ მას რაიმე უბედურობა შეემთხვა. რასაკვირველია, ეხლა კანონმდებლობა ამის შესახებ გაუმჯობესდა. მაგრამ ლიბერალიზმის მეოხებით არ არის ეს; ლიბერალიზმისთვის უფრო ეჯობინებოდა სულაც რომ არ მოსწრებოდა იმ ახალ კანონებს, რომლებიც შემუშავებულია მუშათა კლასისთვის.

თომა: ეგ მართალია, ყველასთვის ქეშმარიტებაა, რომ ლიბერალიზმმა მუშათა სასარგებლოდ ძალიან ცოტა გააკეთა, პირიქით მან ხელი შეუწყო მუშათა კლასის ასეთ გაჭირებულ მდგომარეობაში ჩავარდნას.

მღვდელი: ძნელი მისახვედრი არ არის, სადამდე მივა კაცობრიობა, თუ მან განაგრძო სვლა ამ მოლიბულოს და დაქანებულს გზაზე. როგორ შეიძლება თავიდან აცილება მომავლის ხიფათისა, ეს არის უმთავრესი საკითხი, რომლის გადაწყვეტაშიც გართულია ყოველი კეთილმოაზრე კაცი. მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ვიტყვი შემდეგ ნომერში.

ა. პ.

გაგრძელება იქნება.

სამრევლოს აღდგენის საკითხის შესახებ.

(С-Петербург. Вѣдом. сти-დან).

შვიდი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ხელმწიფე იმპერატორმა, ეკლესიის უაღუსტოესმა მფარველმა, კეთილ ინება სამრევლოს აღდგენის საკითხი განეხილა კრების წინასწარ კომისიას. დღეს ეს საკითხი არაფერ მოძრაობაშია, თუმცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოკოვცემა სათათფიროში წაკითხულ დეკლარაციაში კი გააცხადა, რომ ცხოვრება სამრევლოსი, ამ საზოგადოებრიობის ძველ საბუღარსა, რომელიც აერთებდა მრევლის სულიერ და ნივთიერ ინტერესებს, სამწუხაროა, ამა თუ იმ მიზეზების გავლენით, თითქმის ჩაკვდა ჩვენში. ამიტომ გამოკოცხლება საეკლესიო სამრევლოებისა მღვდლის ხელმძღვანელობით სამართლიანად ცნობილ უნდა იქმნეს ერთ უმთავრეს საზრუნავ საგნად. ამ მიზნით უკვე შემუშავებულია მართლმადიდებელ სამრევლოების დებულებათა პროექტი.

ხოლო როგორი შემუშავებულია ეს პროექტი—იჩიდან სჩანს, რომ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ა. ა. მაკაროვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროექტის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება საეკლესიო მამულების ორ რიგად დაყოფას.

მინისტრი სწერს: მამულების დაყოფა ორ კატეგორიით, იმ გვარად, რომ თითოეულ კატეგორიის თავისებური მართვა-გამგეობა ქონდეს, და მასთან გლეხების ჩამოშორება წმიდა საეკლესიო მამულებიდან, არა თუ ხელს უწყობს მრევლსა და სამღვდლოების შეერთებას საეკლესიო საქმეებში, პირიქით უფრო ამწვავებს მდგომარეობას გლეხებსა და სამღვდლოებას შორის საეკლესიო მამულების თაობაზე. ნამდვილად კი საჭიროა, რომ გლეხებმა ახლო მონაწილეობა მიიღონ საეკლესიო მამულების მართვა-გამგეობაში. ამის მოითხოვს საქმის სიყვარული.

ჩვენი სინოდის ბიუროკრატებს არ სურთ

დაუბრუნონ მრევლს თავისი უფლება, რადგან 200 წელია, რაც სასულიერო უწყება თავისუფლად განაგებს ღარიბ-ღატაკების მამულებს და მათგან შემოსულ შემოსავალს, წმიდა ეკლესიის სასარგებლოდ კი არა ხმარობს, არამედ სასულიერო წოდების საკეთილდღეოთ. მაგალ. რა საქმე აქვთ წინასწარ კრების სულის ჩამდგმელებს (ბ. ბ. ოსტროუმოვეს, ბუტკევიჩებს ან არა და თითონ ბ. ვოსტოროგოს და ვ. სკვორცოვს) წმ. ეკლესიასთან და რუს მართლმადიდებელ ხალხთან. დიახ, რა საქმე აქვთ, როდესაც საეკლესიო ფულებით შეიძლება ჯიბეების გასქელება; როდესაც სახალხო ფულებით შეიძლება მოჯანყე-სემინარიელების შენახვა, რომლებიც ქადაგებენ ხალხში ატივიზმს, ურწმუნოებას, სოციალიზმს და თითქმის რესპუბლიკასაც კი?

1906 წელს კრების წინასწარ კომისიის სხდომაზე ერთი ჯგუფის მეთაურმა, რომელიც წინააღმდეგია სამრევლოს აღდგენის, სახელდობრ ადვისი არქიებისკოპოზმა დიმიტრიმ მოწინააღმდეგეებს ის დასწამა, რომ ვითომც მათ ქონდეთ სურვილი საეკლესიო მამულებიდან შემოსავლის ხელში ჩაგდებას.

პატივცემულმა კანონისტმა ნ. პ. აქსაკოვმა ჯეროვანი პასუხი გასცა მღვდელმთავარს, რომელმაც გვერდზე გადატოვა საეკლესიო კანონები და საზრუნავ საგნად გაიხადა თავისი წოდების ქონების მხრივ გაუმჯობესობა.

გასაკვირველია, რომ სამრევლოს აღდგენის მტრები სამრევლო ტაძრის მაგიერ ხმარობენ ეკლესიას და მაშასადამე ურევენ ერთმანეთში ამ ორ სიტყვათა შემეცნებას. ისინი ამბობენ რომ ეკლესიის მამულებს განაგებს ეპისკოპოზი, რომელსაც აქვს უფლება განაგოს ეკლესიის შემოსავალიც. მაგრამ რომელ შემოსავალზეა აქ ლაპარაკი, ამის თაობაზე ბ. ბ. ბერდნიკოვები, ოსტროუმოვები და აღმაზოვები მთელი თავისი კომპანიით სდუმან. საეკლესიო კანონებში ლაპარაკია ადგილობრივ საეპარქიო ეკლესიაზე ან და, სხვანაირად რომ ვთქვათ, საპატრიარქო, სამიტროპოლიტო და საეპისკოპოზო საეკლესიო მამულებზე.

როგორც ვიცით, მართლმადიდებელ აღმოსავლეთში საპატრიარქო კათედრებს აუარებელი საეკლესიო მამულები ქონდა. ამ მამულების შემოსავლიდან ინახებოდა სამოწყალო სახლები, საავადმყოფოები, თავშესაფარები და შკოლები. ასევე იყო სამიტროპოლიტო და საეპისკოპოსო ეპარქიებში არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ ჩვენშიც.

მრევლში არაფერი გადასახადი არ იკრიბებოდა და ეხლაც მართლმადიდებელ აღმოსავლეთში არაფერი გადასახადი არ იკრიბება, რადგან მას ჰქვს თავისი მოვალეობანი ღარიბების შესახებ. სამრევლო ტაძარი უნდა იყოს სამრევლო ეკლესიის გამგეობის ქვეშ, რომელიც უნდა განაგებდეს ღარიბების მამულებს, უნდა აშენებდეს შკოლებს და აარსებდეს საქველმოქმედო საზოგადოებებს, და არ გოდებდეს მხოლოდ და მხოლოდ სასულიერო წოდებაზე, რადგან საეკლესიო კანონები სასტიკად კრძალავენ ვინმეს იძულებითი სამსახურს ეკლესიაში. ეკლესიას უნდა ემსახურებოდეს არა სარგებლობის გულისათვის, არამედ მოწოდება უნდა გქონდეს: უნდა ელოდე ზეციურ ჯილდოს და არა ამ ქვეყნიურს.

ადვილად ვასაგებია, რომ სასულიერო ბიუროკრატის ეშინიან დაკარგოს ის უზომო ფულები, რომელსაც ის საეკლესიო კანონების წინააღმდეგ ფლობს და უკანონო იწვედის მისკენ ხელებს. მას ეშინიან, რომ სამრევლო საბჭო სასტიკ კანტროლის ქვეშ გაატარებს საეკლესიო შემოსავალ-გასავალს და დარჩენილ ფულებს, მამონის თაყვანის მცემელების ჯიბისკენ კი არ გაამგზავრებს, რომლებიც ხანდახან საეკლესიო მამულებიდან შემოსულ ფულებიდან ლებულობენ წელიწადში 5-10 ათასამდე, კერძო პირების სასარგებლოდ კი არ გაუშვებენ, არამედ მოახმარენ საზოგადო საქმეს. აღდგინდება თუ არა სამრევლო, სავან-მონასტრების საკითხსაც სასურველი მსვლელობა მიეცემა, რომლების შემოსავალი მიდის მხოლოდ კარიესტიკ-ეპისკოპოზების სასარგებლოდ. იმის მაგიერ, რომ ათი ათას მანეთობით ეძლიოს არქივს მისი ოჯახის შესახად და ქალიშვი-

ლების გასამზიებლად, საეანებთან გაჩნდებოდნენ შკოლები და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებები, რომელთა შემწეობით აიწვედა ხალხში ზნეობა და სარწმუნოება. ყველაფერი ეს სასურველია, რასაკვირელია წმ. ეკლესიისათვის და თვით რუსეთისთვისაც, მაგრამ სასულიერო უწყება, პეტრე დიდის დროიდან მოყოლებული, რომელიც მხოლოდ თავისი წოდებისთვის ზრუნავს, სჯის სულ სხვა გვარად: დაიღუპა ეკლესია, რუსეთთან ერთად, ჩვენ მაინც არ დავთმობთ! რასაც ჩვენ ვფლობთ, ის ჩვენია, და თუ რაიმე ახალს აღმოაჩენთ, იქაც გაუწვდით ჩვენ ხელს, რადგან ქველმოქმედ სამრევლოში მღვდელი ყოველთვის პირველი პირი იქმნება.

სასულიერო-წოდების კანონისტები ემყარებიან იმ აზრს, რომ თუ ეპისკოპოზებს აბარიათ ქრისტიანების სული, აქედან აშკარაა სრული უფლება აქვთ განაგონ საეკლესიო მამულები და შემოსავლები. ეს უფლება, შევნიშნავ მე, შეეება კათედრას ან და საეპარქიო მამულებს, მაგრამ არასოდეს მონასტრის მამულს და მის შემოსავალს. თუ რომ საეკლესიო კანონებს ასეთი უფლება ეპისკოპოზების სავალდებულოთ გაეხადათ, მაშინ ფიქრი ქველმოქმედების შესახებ სამრევლოში ტყუილ უბრალო იქნებოდა: ანგარების მოყვარე ეპისკოპოსი გამოსვლიდა ყოველივე შემოსავალს სამრევლო ეკლესიებს, აღებულ ფულებს მოახმარდა თავის ნათესავთ და ბერულ ცხოვრებას გვერდზე გადადებდა.

ზემო ჩამოთვლილი შინგაზრდილი სასულიერო-წოდების კანონისტები ცვლიან სიტყვებს მრევლს და ტაძარს სიტყვით ეკლესია: ჩვენ, გაკვირვან ისინი, ყველაფერი კანონიერად გვაქვს, ბერძნებს, სერბილებს, რუმინელებს და ქართველებს არა, თუმცა უკანასკნელებს არა ყოლიათ ისეთი რეფორმატორები ეკლესიურ ცხოვრებაში, როგორც იყო ლეიბნიცი, არაფრის მორწმუნე თეოფანე პროკოპოვიჩი და დიმიტრი სეჩენოვი, რომლის ხელში ეკლესიამ დაკარგა თავისი მამულები, ხოლო სამრევლო ცხოვრება უკანასკნელად ჩაკვდა...

6. დურნოვო.

(გაგრძელება იქმნება.)

ქართული ტიბიკონი და

სტამბოლის ქართველობა.

მგონი ქართველ სამღვდელეობას სასიამოვნოთ დაურჩებოდა ნინოობის გადახდის ამბავი ქ. სტამბოლში (იხ. „შინ. საქ.“ № 2). გავლილ წელს ისეთი ცუდი ცნობები გავრცელდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერზე, რომ კაცს გული გაუტყდებოდა: ისე მოჩანდა თითქოს ქართული ტიბიკონი ვეღარ წამოდგებოდა ფეხზე რაკი ყურნალებს თვითონ რომის ტახტი მტრათ გამოყავდათ. მაგრამ ყველა ეს რომ სიცრუეა წლევანდელმა ნინოობამ ნათლათ დაგვახანა.

მკითხველს ეცოდინება, რომ ფერიქოვის (სტამბოლის უბანია სადაც მდებარეობს ქართველთა მონასტერი) სავანეში მუდამ ყოფილან ქართული ტიბიკონის ღვდლები, დაწყებული 1864 წლიდან; საუბედუროთ, დროთა ვითარებისა და ზოგიერთ პირთა უნადვლელობით ერთი ღვდელი და რჩენილა ამ უამად, რომელსაც სიბერის გამო, ღვთის მსახურების აღსრულებაც კი არ შესძლებია.

ქართველმა ბერმონაზონებმა უწმ. პაპს პიო X აცნობეს რომ ნინოობა წელიწადში ერთად ერთი შემთხვევა, მთელი ქართველობა მიჩვეულია ძველათგანვე თავიანთ განმანათლებლის ღვთობაზე წირვალოცვა ქართულ ტიბიკონისამებრ გადიხადონ და ღვდელნი კი არა გვყავსო.

საქმის ამნაირი ვითარება გაიგო რა რომის ღვდელ-მთავარმა, ფერიქოვის სავანის წინამძღვარს პ. დ. მამა პიო ბალიძეს (ლათინურ ტიბიკონის მქონეს) ტელეგრამით აცნობა: ნება გაქვს ქართულათ სწიროვო, ეს სასიხარულო ამბავი, საკუთარ სტამბაში დაბეჭდილ ბარათებით შეატყობინეს სტამბოლის ქართველებს, — არც ერთი იმათგანი არ დაჰკლებია ღდესასწაულს

ეკლესიური წეს-რიგი უნაკლულთ იყო დაცული; გალობა, ბიზანტიურ მოტივზე აშენებული — მრავალ ხმოვნათ და შეენიერთ ალუსრულებით მამა კონსტანტინე საფარაშვილის ლოტბარობით (*).

წარმოდგინეთ, „წ. ნინოს“ (იქაური სემინარიის) მოწაფენი ქართული წესით ზიარებულან; მგონი, ეს პირველი მაგალითი იყოს სტამბოლელთა ცხოვრებაში.

აბატ პიო ბალიძეს მხურვალე სიტყვა წარმოუთქვამს: „ქართული ტიბიკონი თუ განსაცთელში იყო ოდესმე, დამნაშავეს შორს ნუ დავეძებთ, ციხე შიგნიდან გატყდებაო... თვითეულ აქ დამსწრეთაგანმა გულში ხელი ჩაიკრას და აღიაროს: დამნაშავე მე ვარო. თქვენ წირვა არ იცით და ვილას აბრალებთ, რომ ქართულათ არ იწირებაო!..“

წირვის შემდგომ, მთელ ქართველობას მადლობის წერილი (ქართულ-ლათინურათ) გაუგზავნია უწ. პაპისთვის.

ყველა ეს იმის ნიშანია რომ ახალი დრო დადგა ქართველ კათოლიკებისთვის და ეროვნული ტიბოკონი მათშიც ფეხს იკიდებს.

დარწმუნებული ვარ, ეს გარემოება მართლმადიდებელ ღვდელსაც გაახარებს. ძველათგანვე, კათოლიკე მისიონერნი ძალიან დაახლოვებულნი იყვნენ აქაურ სამღვდელეობასთან. როგორც ვიცით

(*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბიზანტიური გალობა, თავისი განსაკუთრებული ნიშნებით, ზედმიწევნით იცის სტამბოლის მგალობელთა თავმა ბ. კონსტანტინემ. ეს ჯერეთ სულ ახალგაზრდას, 26 წლისა ძლივს იქნება. იმედია, იგი ოდესმე გამოიკვლევს ჩვენი მიქელ მოდრეკილის საგალობლებს; ამ უკანასკნელის რამდენიმე ნიშნები კიდევ შეუდარებია მე-X-XI საუკუნის ბიზანტიურ ნიშნებისთვის; თუმცე არაფერი მსგავსება აღმოჩენილა. ახალგაზრდა მეცნიერს თვითონ მიქელის ხელნაწერი რომ ჰქონოდა, უეჭველათ ჩვენთვის ახალ რამეს აღმოაჩენდა. შეუძლებელია, ევადემ გალობათ, კრებულში, ბიზანტიური მელიოდები არ იყოს გამოტყუული. შ. ბ.

მისიონერებმა, სხვათა შორის, მეგრელ ღვდლებს შეუსწორეს აღსარების და ნათლისღების ფორმულა (იხ. თამარაშვილის ისტორია გ. 181 და 184); იმედია, მართლმადიდებელნიც თავიანთ მხრივ დახმარებაზე უარს არ იტყვიან. დახმარება კი შეუძლიანთ და აი როგორ. ახლო მომავალში ოფიციალურათ უნდა გამოიძიონ ქართული ტიპიკონის საკითხი ქ. რომში. კომისიას ხელთ უნდა ქონდეს შემდეგი კრიტიკული გამოკვლევანი:

1) ქართულათ წირვა-ლოცვა როდის დაიწყო საქართველოში.

2.) როდის და რა შემთხვევაში დამყარდა კათალიკოსობა და დამოუკიდებელი მართველობა (ავტოკეფალია).

3.) კრიტიკული განხილვა ქართულ წმიდათა ცხოვრებისა.

4.) გარკვევა განსაკუთრებულ ჩვეულებათა საქართველოს ეკლესიისა.

5) ისტორია ქართულ ლიტურგიული წიგნებისა; მათი შედარება ძველ ბერძნულ ტექსტთან; განსხვავება ეხლა ხმარებულ წიგნებსა და მთაწმინდელ მამათა თარგმანებს შორის. რასაკვირველია, უპირატესობა ძველ ნაწარმოებს მიეცემა; მაგ. წ. გიორგი მთაწმინდელის მიერ შესწორებულ წიგნებს უფრო მაღლა დააყენებენ ქ. რომში, ვინემ ეხლანდელებს სლავიანურის მიხედვით რომ გადუსწორებიათ.

ამ გამოკვლევათა უქონლობა თვალსაჩინო დანაკლისს შეადგენს ქართველთა ეროვნულ მწერლობისთვისაც.

ჩვენი ეკლესიური მეცნიერები, საუბედუროთ, თავიანთ გამოკვლევებს რუსულ ენაზე სწერენ! აკი სახარებაში ნათქვამია: „ყოველსა რომელსა აქენდეს, მიეცეს და მიემატოს; ხოლო რომელსა არა აქენდეს, და რომელიდა იგი აქენდეს მოვევლოს მისგანო“? (მათ. 25, 29).

ახალ ეურნალ „განთიადში“ ლი-

ტურლიული განყოფილებაც არის და, იმედია, ჩვენი მეცნიერნი ზემორე ჩამოთვლილ საკითხებს დაკვირვებით გამოიკვლევენ.

როგორც გადმოგვცეს, ნინოობის ღღესვე, სტამბოლელ მამებს დაუწყიათ ქართული ტიპიკონისამებრ ჟამ-კანონის აღსრულება, მხოლოდ საკმაოთ ლიტურგიული წიგნების უქონლობა აწუხებსთ: სხვათა შორის აკლიათ „ჟამნი“, ხოლო სრულობით არ მოეძებნებათ „საზიარო“ და „ტიპიკონი“. უეჭველათ, ხელის გამართველი მრავალი აღმოჩნდება ჩვენს ქვეყანაში; შეწირულება მიიღება „ზინაური საქმეების“ რედაქციაში.

ჩვენს პატივცემულ მეცნიერებს შეუძლიათ თავიანთი გამოკვლევანი პირდაპირ სტამბოლში გაგზავნონ, რითაც ღიდათ დაავალებენ იქაურ მონასტერსა.

Constantinople
Peres Georgiens.

ზ. ბ.

პრიტიკული შენიშვნაჲი.

(„გრდემლი.“ სალიტერატურო კრებული. წიგნი 1.)

„გრდემლის“ პირველ წიგნში დასტამბული აქვს ბ. ივ. ვართაგავას კრიტიკული ეტიუდი „პოეტი მოქალაქე“, განსვენებული გრ. აბაშიძის პოეზიის განხილვა.

ბ. ივ. ვართაგავა ნიჭიერი, მიუდგომელი, გულწრფელი რკიტკოსია, რომლის სულის ცხოველი ენტუზიაზმი და ფილოსოფიური ნიჭის შემოქმედობის აღმაფრენა ახლო იზიდავს მკითხველს და გულით აყვარებს მას. ეს მწერალი რუსეთიდან, ჯერ სტუდენტობის დროსვე, გაზ. „ივერიაში“ წერდა საამდროო ტემებზე ძალიან ცოცხალ პუბლიცისტურ და პოლემიკურ წერილებს და სინდისიერათ სჯიდა ხოლომე წმინდა ეროვნულ თვალსაზრისით. სწავლა-განათლების დას-

რულების შემდეგ, იგი გამწესებულ იქნა რუსეთში მასწავლებლად. საყვარელ სამშობლო ქვეყანას მოშორებულს, იქაც არ გაუგდია ხელიდან კალამი, სტატიებს წერდა, ასტამბვინებდა ხოლმე იქაც წიგნებს რუსულ ენაზე, სადაც ავტორი რუსეთის საზოგადოებას აცნობდა და უთვალისწინებდა. საქართველოს დიდთ საინტერესო განვლილს წარსულს ცხოვრებას.

ამ რამდენიმე წლის წინათ, ბ. ივ. ვართაგავა სინოდის განკარგულების ძალით რუსეთიდან გადმოყვანილ იქნა თფილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იმას უჭირავს დღეს ლიტერატურის კათედრა. ამ უკანასკნელ დროს მან დაიწყო კრიტიკული სტატიების ჩვენ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მოთავსება და, ამნიარად, ავტორმა ერთბაშად მიიქცია ყურადღება ქართველთა მკითხველი საზოგადოებისა...

აი, ახლაც „გრდემლში“ დასტამბული იმისი ეტიუდი სწორედ რომ გულწრფელი და სინდისიერი განხილვა და დაფასებაა გრ. აბაშიძის პოეზიისა, რომელსაც, სამწუხაროთ, აქამდის არ შეხებია სერიოზული ქართული სალიტერატურო კრიტიკა.

კრიტიკა, საზოგადოთ რომ ვთქვათ, მიუდგომელი დაფასებაა მწერლის ნაწარმოებისა და დაფასებაც ცალიერი, უშინაარსო სიტყვებით, უნებური კი არა, მტკიცე არგუმენტებით და მოტივებით დასაბუთებული განხილვა და დაფასება. რომელიც მკითხველ საზოგადოებას ნიჭიერად უჩვენებს, ურკვევს და უნათებს მართალს, ქეშმარიტს გზას ლიტერატურაში. კრიტიკა არგუმენტებით და უტყუარი საბუთებით ასწორებს საზოგადოების ყალბს, შემცდარს აზრს, რომელიც მას თვალსაჩინო მწერლის ნაწარმოებთა შესახებ წინდაწინვე შეუდგენია, ან, თუ არაფერი აზრიც არ შეუდგენია, მკით-

ხველთა წინაშე გაშლის და წარმოადგენს კრიტიკულ დაფასებას ნამდვილი და ქეშმარიტი მოტივებითა და საბუთების წარმოდგენითა და გაშუქებით.

აქედან თავისთავად ლოგიკურად გამომდინარეობს ის სამართლიანი აზრი, რომ იმას, ვინც თავის საკუთარს დაფასებას იძლევა სხვა მწერლის ნაწარმოებისას, ამ საგანში მკითხველზე უფრო მეტი უნდა ესმოდეს, მიუცილებლად, დამფასებელს მეტი გემოვნება, ქეშმარიტების და შევნიერების (изыщного) შეგნების ნიჭი, ასე ვთქვათ, მეტი კომპენტენტობა უნდა ექნეს, ვიდრე ჩვეულებრივს მომაკვდავს აქვს ხოლმე მინიჭებული.

ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ბ. ივ. ვართაგავას კრიტიკულ ეტიუდს, უნდა სიმართლე ვთქვა, რომ მისი სტატია „პოეტი მოქალაქე“, სრულიად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას და იგი წარმოადგენს მშვენიერს, სრულს განხილვას და დაფასებას განსვენებული გრ. აბაშიძის პოეზიისას...

მაგრამ წინდახედული კრიტიკოსი ამ შემთხვევაში თვითონვე კარგადაც გრძნობს „გასაჭირ და უხერხულ მდგომარეობას...“

„ჩვენის მგოსნის და საზოგადოთ მწერლობის მიმოხილვის მსურველი, წერს ავტორი, სწორედ რომ გასაჭირ და უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება, მომეტებულად იმის გამო, რომ ჩვენში არ მოიპოვება არც ერთი სრული კრებული თხზულებათა ჩვენის, არამც თუ შეათანა ნიჭის, ან შედარებით ახალის, არამედ იმისთანა მწერლებისაც, რომლებიც საამაყონი გამხდარან ერისთვის და რომელთაც თავისი მადლიანი შემოქმედება-მოღვაწევობით ღრმა კვალი გაუვლიათ სამშობლო ლიტერატურაში. თხზულებათა კრებულის უქონლობა ისე არ იქნებოდა სამძიმო და შესამჩნევი, რომ ჩვენში არსებობდეს ყოველთვიური ჟურნალები

ან აღმანახები და იქ მაინც იბეჭდებოდეს მთლიანად ცნობილ მწერლების ნაწარმოებნი. მაგრამ ჩვენში ეროვნული დაკნინება და მოქალაქობრივ-მამული-შვილური შეუფხვებლობა იქამდის მივიდა, რომ მთელმა საქართველომ ვერ შესძლო ერთი თვითური ჟურნალის შენახვა-გამოცემა! ჩვენი მწერალნი, დიდებულნიც და ახალ ფეხ-ადგმულნიც იძულებულნი არიან, მოათავსონ თავიანთი ნაწარმოებები, ხშირად დიდი რომანები, დრამები, პოემები და, ასე წარმოიდგინეთ, ისტორიული გამოკვლევანიც კი, ყოველ-დღიურ გაზეთებში. ამისგამო, სხვათა შორის, ქართულ მწერლობის მიმომხილველი კერძოდ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ხასიათის, მიმართულების, ელფერის ამხსნელ-განმმართველი, იძულებულია, მკირე მასალით დაკმაყოფილდეს და თითქმის აპრიორულად იქონიოს მსჯელობა ამა თუ იმ მწერლის მიმართულება-ხასიათის, იდეა-მისწრაფების, ცხოვრების ფილოსოფიის შესახებ, რადგან არა აქვს, არამც თუ მიუდგომლად და ვრცლად შედგენილი, ხშირად უბრალო ბიოგრაფიაც კი. ნურავის ჰგონია ეს ნაკლი უმნიშვნელო იყოს. ჭეშმარიტებად აღიარებულია ის აზრი, რომ მწერლის ნაწარმოების ღირსეულად ახსნა-განმარტებისთვის აუცილებლად საჭიროა ავტორის ცხოვრების ცოდნა და პირობების გათვალისწინება, რომელშიაც მწერალი ჰქმნიდა ნაწარმოებს და იღვწოდა: საჭიროა დაწვრილებით შესწავლა მწერლის მდგომარეობა-დამოკიდებულობის საკუთარ წრეში, ოჯახში; საჭიროა შესწავლა იმის გემოვნება-ჩვეულებათა. მხოლოდ ამ მრავალ გვარ პირობების მიხედვით უნდა გაირჩეს და აიხსნას თითოეული გვერდი მისი ნაწერებისა, როგორც შედეგი მრავალ-გვარ შინაგან და გარეგან ფაქტებისა. ვინ არ იცის, რომ არამცთუ კერძო მწერლის შემოქ-

მედობა, მთელი ხალხის შხატვობრივი შემოქმედობაც, მთელი ერის მოქმედება რომელსამე განსაზღვრულ ხანაში აიხსნება გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ ეკონომიურ და ისტორიულ პირობებით...“

ხომლელი.

შემდეგი იქნება.

კვირი ღამ-კვირი ღამ

რომანოვების გვარეულობის 300 წ. მეფობის აღსანიშნავად უწ. სინოდმა გადაწყვიტა დაურიგოს სამღვდლოებს განსაკუთრებული ნიშნები რომელთაც წ. გიორგის ჯვრის მსგავსება ექნება. შუაში გამოხატული იქნება მონომახის ქუდი და რვა-წვეროიანი ჯვარი.

უწ. სინოდის ობერ-პროკურორმა საბლერმა უწ. სინოდის სხდომაზე მოახსენა, რომ მონასტრების საბჭომ მოიწონა ის აზრი, რომ სამრევლო შკოლებში შემოღებულ იქნას სამეურნეო მაცადინეობა-

18 იანვარს მიტროპოლიტ ვლადიმერის თავმჯდომარეობით და ობერ-პროკურორი საბლერის მონაწილეობით, შესდგა უწმინდეს სინოდის სხდომა, რომელზედაც განიხილეს სამღვდლოების მოწყალეების საკითხი 300 წლის დღეასწაულის აღსანიშნავათ. სინოდის ერთმა წევრმა წინადადება მისცა კრებას სამღვდლოებისთვის გადადებული ყოველწლიური ჯილდო გაადიდონ. ამ წინადადებას ყველა იერარქები თანაგრძნობით მიეგებენ საბოლოოდ არაფერი გადაუწყვეტიათ. მოელიან მინისტრთა დადგენილებას, საზოგადოდ, მოწყალეების თაობაზე სასურველად იყო ცნობილი დღესასწაულის აღსანიშნავად, სამღვდლოებსა ჯვარის

მსგავსი ნიშანი დაურიგდეს ნიმუშს შეი-
ბუშავებს ცალკე კომისია.

ამ დღეებში შესრულდა ნახევარი წე-
ლი რაც ყველასგან პატივცემული პროფ-
ალ ხახანაშვილი გადაიცვალა. ბევრგან
მისმა პატივის მცემლებმა და განსაკუთრე-
ბით წერა-კით. საზოგადოებამ, რომელსაც
განსვენებულმა რამოდენიმე ათი ათასი
უანდერძა პანაშვიდი გადაიხადეს.

26 იანვარს საგანგებო კომისიამ ეგ-
ზარხოსის თავმჯდომარეობით, და ეპის-
კოპოზების, სასინოდო კანტორის პრო-
კურორის და სხვათა მონაწილეობით და-
ადგინა, 1) დაბეჭდოს მოწოდებანი გლეხთა
დროებით ვალდებულების მოსპობის კა-
ნონის შესახებ და სამღველოებას გაუგზავ-
ნოს ხალხში გასავრცელებლად, 2) ქადა-
გებათა კრებულის შედგენა ცალკე კომი-
სიას მიენდოს.

ქართლ-კახეთის სამღვდლოების კრე-
ბამ დაადგინა ააშენოს თავშესაფარი ქ-
თბილისში დავრდომილ სასულიერო
პირთათვის. რომანოვებს გვარეულობის
300 წ. დღესასწაულობის აღსანიშნავად ამ
თავშესაფარს კრებამ დაადგინა, ეწო-
დოს „რომანოვების სახელი“.

როგორც გავიგეთ, საქართველოს ეგ-
ზარხომმა გაგზავნა ეპარქიალური მისიო-
ნერი პლატონოვი ქართლში, რათა გაი-
ვოსამწყსოს სარწმუნოებრივი და ზნე-
ობრივი მდგომარეობა.

საეკლესიო კრება.

22 იანვარს მოსკოვის მიტროპო-
ლიტ მაკარის თავმჯდომარეობით, მოხ-
და მრრიგი სხდომა საეკლესიო წინას-
წარ თათბირისა. სხდომას დაესწრნენ
ობერ-პროკურორი საბლერი და მისი ამ-
ხანაგი დამანსკი.

სხდომამ დიდხანს ითათბირა ფინ-
ლიანდელ არქიებისკოპოს სერგის მიერ
წარდგენილ მოხსენების გამო პატრიარ-
ქის არჩევის წეს-რიგის თაობაზე.

სერგის პროექტს წინააღმდეგ
საბლერი და ვოლინის ეპისკოპოსი ან-
ტონი. მათი წინადადებით, საეკლესიო
კრებამ სამი კანდიტატი უნდა აირჩიოს
და წარუდგინოს მეფეს დასამტკიცებლათ,
უმაღლესი მთავრობა დაამტკიცებს
ერთს მათგანს. ამის შემდეგ საეკლესიო
კრება გამოაცხადებს პატრიარქად არჩე-
ულს. კრებამ მიანდო ფინ. არხიებ. სერგის,
თახახმად კრების დადგენილებისა, შეას-
წოროს თვისი პროექტი და ხელმეორედ
შეიმუშავოს ეს საკითხი.

კრებამ სასურველად სცნო გაჰყოს
საეპარქიო არქიერები რამდენიმე ჯგუ-
ფად სინოდის სხდომაზე დასასწრებლად,
რათა სინოდში ყოველ წლივ ერთ-ერთი
წარმომადგენელი სხვა-დასხვა ეპარქიე-
ბისა მაინც ესწრობოდეს. დანაწილება
გეოგრაფიული იქნება: ჩრდილო-დასავ-
ლეთის ეპარქიები ცენტრის ნაწილით
და სამხრეთ-აღმოსავლეთის განაპირა ქვე-
ყნებით.

გამოვიდა პირველი №-რი ყოველ-
თვიური საღვთისმეტყველო, ფილოსო-
ფიური, პოლიტიკური და ლიტერატუ-
რული ჟურნალისა „განთიადი“ შემდეგი
შინაარსით: 1. იესო ქრისტე საკვირვე-
ლება ისტორიისა, 2. მეფე სოლომონ
დიდი და ხრესილის ომი, 3. წმ. ელუკია
(მოთხრობა), 4. ქრისტეს კვალზე თარგ-
რუსულით, 5. მზეთუნახავი გული. მოთხ.
6. მოკლე საუბარი ჰიგიენიდგან, 7. ში-
ნაური მიმოხილვა, 8. უცხოეთის მიმო-
ხილვა, 9. პასუხი კანონისტ პრ. ალმა-
ზოვს და ბერდნიკოვს, 10. სამღვდლო-
ება და მეურნეობა, 11. იმერეთი 1650 წ.
12 ბიქვენტის სიგელ-გუჯრები, 13. გან-
მარტება სახარებისა.

მადლობის გამოცხადება!

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაურ საქმეებს“ საშვალეებით დიდი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ჩემის მხრივ, აგრეთვე ჩემის სამრევლოს მხრივაც შემდეგ პირებს მცხოვრებთ ყუმისთავის სამრევლოს შინა: 1) აზნაურთ: ტრიფონ გიორგისძეს მიქაბერიძეს, 2) მიხეილ ივანესძეს მიქაბერიძეს, 3) რაფიელ ლურსამ. მიქაბერიძეს, 4) მიხეილ ბეროსძეს სვანიძეს, 5) სერაფიონ მიხეილისძეს ტყაბლაძეს, 6) სამსონ და ფარნაოზ მიქაბერიძეებს და 7) იაკობ პავლესძეს ბალათურიას. რომლებმაც ჩემის თხოვნით შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო ყუმისთავის წმ. გიორგის ეკლესიას; ტრიფონ მიქაბერიძემ სანაწილე დიდი ტრაპეზზედ დასადგმელი ღირებული 15 მან.; მიხეილ ივ. მიქაბერიძემ შემოსწირა საცეცხური ღირებ. 10 მან.;

რაფიელ ლურს. მიქაბერიძემ კრეტსამძელი ღირ. 10 მან., სერაფიონ მიხეილისძე ტყაბლაძემ ორი სამღეროვანი შანდლები ტრაპეზზედ დასადგმელი ღირ. 10 მან., მიხეილ ბეროსძემ სვანიძემ უსუბი ღირებული 2 მან., სამსონ და ფარნაოზ მიქაბერიძეებმა შემოსეს (ბუდე გაუკეთეს) წმ. გიორგის ხატს და იაკოვ ბალათურიამ შემოსწ. დიდი ჯვარი ტრაპეზის ღირ. 15. მან. ვისურვებ, როგორც ამათთვის ისრე მათ წამბაძველთა ხანგრძლივ სიცოცხლეს და კეთილ-წარმატებას.

ყუმისთავის წმ. გიორგის ეკლესიის
მღვდ. ნესტორ კეთილაძე.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მკედლიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

სიძლება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

უოველთვიურ ჟურნალ

„ბანთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და უოველ კვირულ გაზეთ

შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მკედლიძე.

სტამბა „მშობა“ კახაკოვის ქუჩა № 17. ქ. ქუთაისში.